საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი, 5 თებერვალი 1919 წ. პარტიულ-საგანმანათლებლო კომისიის, თბილისი

ერთობა

ფასი 75 ფაპ.

ფასი: 1 ფურცელი 18 მანეთი ტაბ. 8 ნომერი ღირს 76 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტროქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სარეკლამო განცხადება უნდა მოტანილ იქნას ბარე ოთხშაბათს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ხელის მოწერა ეგზემპლარებზე ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თბილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. ასევე ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მიღება-გაცემა შეიძლება 12—13 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პრ. № 24

ტელეფონი 16—62.

№ 28 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 28

ხაშურის ორგანიზაციისა საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიისა აცნობებს ამხანაგებს, რომ სომხებთან ბრძოლაში გმირულათ დაღუპულ გმირ გვარდიელებისა:

ლ. მეტრეველი, ალ. სირაძე, იაშა ცქიტიშვილი, ნ. აბაიაძე, ს. ლომიძე, ვ. ჯანტლიაშვილი, ი. მშვიდობაძე, ჩაფრაძე, დარსაველიძე, შერეზადაშვილი, ჩუბინიძე, კურტანიძე, ავალიანი, ტუმანლაძე, წეველიძე, ლომიძე, არჩილ კურტანიძე

და სხვა ამხანაგების ორმოცის თავზე ქ. ხაშურში „ძმათა სასაფლაოზე“ (გორათი) ხუთშაბათს 6 თებერვალს გადახდილ იქნება ხამოქალაქო პანაშვიდი. 2—1

ქართული ლეგიონის სარდალი და ოფიცრები ამით აცხადებენ, რომ ახალციხის მაზრაში მტერთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპნენ პოდპორუჩიკი

ალიოშა ივლიანეს ძე ცქიტიშვილი

ფელთფებელი პავლე ვასილის ძე ნაგიერიძე

და მოხალისე გრიშა მეგრელიშვილი

(მგოსანი „მთის ნიავი“) მიცვალებულთ გაასვენებენ ბორჯომის სადგურიდან შორაპანში, სადაც დაკრძალავენ 5 თებერვალს. (1—1)

ბულ დათუთქულნი მამა ივლიანე, ბიძები: კოწია, მიხა, ბიკტორი, ბენია ვარდი, ბიცოლა ანნა და მამიდა დომინიკა ცქიტიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ახალციხის ფრონტზე გმირულათ დაეცა მათი საყვარელი

ალიოშა ცქიტიშვილი

დასაფლავება მოხდება 6 თებერვალს დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე სოფელ საქარაში. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა ვახტანგი, დედა ელენე, ძმა ვანო, დები: მარო და სოფიო თიკანაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ამხანაგებს ძვირფას და დაუვიწყარ

პოტე ვახტანგის ძე თიკანაძის

უეცრად გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა მოხდება 6 თებერვალს 12 საათზე მაკვანეთის (ოზურგეთის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე. 2—1

თავზარდაცემული დედა ეკა, ძმა გიორგი, დები: ფიდმე, ფედოსი, მაკრინე, ბარბარე და მეტანია, სიძე ფარნაოზ ბეიშვილი, დის შვილები: თეკლე ვისლა, ლუკა, კოლია, თამარიან და კალიოფა წეროძენი, ფოკა, მოსე, ივლიტე, მინადორა, მაგდანა და მარია ბეიშვილები აწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს რვა თებერვალს (ახ. სტ.) სოფელ სამების ეკლესიაზე (ყურია) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

გერმანე გიჯიას ძე მარუანიშვილის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც გმირულათ დაეცა ბორჩალოს მაზრაში სომხებთან შეტაკების დროს 19 დეკემბერს 1918 წ. (2—1)

ღრმად დამწუხრებული შვილები; ვანო. ბიკტორ, რაფიელ, ასულნი: ელისაბედ, მარია და კონა, რძლები: აგრაფენა და გოგუცა ციწკაძეები, ძები: ნიკო და გიორგი ტარიელის ძენ, სიძეები: ალექსი ბერბერიძე და ივანე სულუხია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 თებერვალს დღითი შაბათს ს. ფარცხმაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი აწ განსვენებულის

ფარნაოზ ტარიელის ძე ცინცაძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

თავზარდაცემული დედა კასანე, მეუღლე აგრაფენე, შვილი ალექსანდრე და ძმა ანდრია ბერიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი და დაუვიწყარი

სიმონ ალექსანდრეს ძე ბერიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც გარდაიცვალა 31 იანვარს. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს ეკლესიაზე ხუთშაბათს 6 თებერვალს. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ანდრიევის შესახვევი სახლი № 4 დიდუბეში) დილის 11 საათზე. 1—1

ქართველ მებრძოლთ!

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოდალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად! მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა. მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ეტაჟი გიმნაზიის სახლი.

ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე. (6—1)

არტისტული თეატრი

ოთხშაბათს, 5 თებერვალს 1919 ს. მალალიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

არშინ-მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქმედებიანი, თარგმანი ვ. გიგოშვილისა.

მონაწილენნი: ო. ფეიქრიშვილი, მ. გიგოშვილისა, ვ. მარგველაშვილი, ა. არჯევანიძე. ბ. ნნი: ს. მალალიანი, მ. ქართველი, ნ. ჩაგუნავა, ი. კობახიძე.

დირიჟორი ცნობილი მეთარე ხიმონა. გამგე ა. სულხანიშვილი.

არჩევნები

ქალაქის არჩევნებს არასოდეს არ ჰქონია ისეთი მტრული ატმოსფერა, როგორც წელს. ყველანი მის წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებულნი, ვისაც კი ჩვენი რესპუბლიკის არსებობა არ მოსწონს. ორ რამეს შესტრფოდნენ, ერთი მხრით აბსენტიზმის მოლოდინი, მეორე მხრით სოც.-დემოკრატიის დასუსტება. ერთიც და მეორე იმედიც გაუცრუვდათ, თუმცა თვით ბუნება და მდგომარეობა ხელს უწყობდა მათი იმედების გამართლებას. დილიდან დაწყებული თოვლ ქუანი, რომელიც სწორეთ ამ დღისთვის მოავლინა ზეცამ, ხელს უშლიდა ჩაუცმელ დაუხურავ მცხოვრებთ ქუჩაში გამოსულიყო თავის მოვალეობის ასასრულებლად.

ათასგვარი სახადი, ტიფი, ისპანკა და სხვა სნეულებანი, რომელიც მოდებულია ქალაქში, და რომელიც გაცივების ნიადაგზე ერთიორათ გაძლიერდება, აიძულებდა ბევრს თავის ოთახს არ გაშორებოდა. იყო შემთხვევა, რაც კომისიის ოქმებშია აღნიშნული, რომ მთელი ოჯახი, დაავათმყოფებული ითხოვდა მიეცათ მისთვის საშუალება არჩევნებში მონაწილეობისა, მაგრამ ფორმის დარღვევას კომისია ვერ თანხმდებოდა და უარს ეუბნებოდა.

და მიუხედავთ ყოველივე ამისა, მიუხედავთ აგრეთვე ზოგიერთ გაფლენიან და მცირე გავლენიან პარტიათა ბოიკოტისა საარჩევნო ყუთთან გამოცხადდა 51 პროც. ამომრჩეველისა, ესე იგი ნახევარზე მეტი.

მართალია საერთო რიცხვი ამრჩეველთა ახლა ნაკლებია, ვინემ დამფუძნებელი კრების არჩევნებში იყო 1917 წელს ან ქალაქის არჩევნებში იმავე წლის ზაფხულში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბარდა მოქალაქეობის კანონისა, მაშინ თფილისი სავსე იყო ჯარით და ზურგის მოსამსახურეთა დიდძალი არმიით, რომელნიც ყველანი იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით დამფუძნებელ კრების არჩევნებში შედარებით 20—30 ათასით ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა, ვინემ ქალაქის პირველ არჩევნებში.

სულ ზაფხულიდან შემოდგომამდე, ესე იგი რამდენიმე თვის განმავლობაში, არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი დაეცა ასე: ქალაქის არჩევნებში მიიღო მოქალაქეთაგან მონაწილეობა 97 ათასმა, დამფ. კრებაზე გამოცხადდა 73 ათასი ე. ი. 26 ათასით ნაკლები. ეს იყო მაშინ, როცა რევოლიუციური აღფრთოვანება უფრო ძლიერი იყო, და ყველა პარტიები მცხოვრებლებს ერთი მეორის შეჯიბრებით ერეკებოდნენ საარჩევნო ყუთებისაკენ. მაშასადამე, თუ შევადარებთ პირობებს და მდგომარეობას, უნდა ვაღვიაროთ ერთი რამ. თფილისის ამრჩეველნი დღესაც არა ნაკლები ენერგიით და შეგნებით ეკიდებიან ქალაქს საქმეებს, ვინემ წინეთ. თუ ამ არჩევნებს შევადარებთ ჩვეულებრივ დროს თუნდ ევროპის ქალაქების მუნიციპალურ არჩევნებს, დავინახავთ, რომ პროცენტი მონაწილეთა საშვალოზე მეტია. ევროპაში ხშირათ მეტ აბსენტიზმს აქვს ადგილი, თუმცა იქ მოიკოტს არავინ აცხადებს. ამ რიგათ ჩვენ შეგვიძლია თამამათ დავასკვნათ.

თფილისის ამრჩეველები, დიდი პოლიტიკური ხალისით ეკიდებიან ქალაქის საქმეებს. იგი დაინტერესებულია დედა ქალაქის ბედით და თვით უმძიმეს პირობებშიც კი არ სტოვებს მას თავის ყურადღების გარეშე.

რაც შეეხება ქალაქის დემოკრატიას, განსაკუთრებით სოც.-დემოკრატიულ პარტიის ამრჩეველთ, მათი შეეხება თვით თავის პოლიტ. მოვალეობისა განსაცვიფრებელია. დემოკრატიამ მისცა ჩვენს პარტიას რუსეთის დამფ. კრების არჩევნებში მოქალაქეთაგან 27,900 ხმა. წელს ქალაქის არჩევნებში 26,911 ხმა. სულ ათასი ხმით ნაკლები. თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ ბევრი მუშა ხელი გაეიდა თფილისიდან მუშაობის შემცირების გამო, დავინახავთ, რომ დემოკრატიას თავის რევოლიუციური ენერგია არ დაუკარგავს, გულგრილობა მას არ შეპარვია. იგი პირნათლად ასრულებს ქალაქის ბატონ პატრონის მოვალეობას. დაუღალავად სდგას თავის პოსტზე და იცავს თავის მდგომარეობას.

ეს შეკავშირებული ძალა, შეგნებით თავის მოქალაქობრივ მოვალეობის, ეს სიმტკიცე რწმენისა—არის თავდები ჩვენი დედა ქალაქის და მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარმატების. ვერც ეროვნულ დემოკრატებმა, ვერც გათიშულ სოც. დემ. ჯგუფმა, ვერ შესძლო ჩვენი პოზიციის შერყევა. დემოკრატია არ ქანაობს ჰაობის ლერწამივით. იგი სდგას, როგორც მუხა, ძლიერი და შეუპოვარი დაშნაკური ქარი მას ვერ გაუხრის ხაზსა, ვერც ესერების ჩხავილი შეაჩერებს მის მადლიან ხელს. იგი იყო და დარჩება ქალაქის მესვეურათ. იგი იყო და დარჩება თავისუფლების ურყეველ ბურჯათ.

უკანასკნელათ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დაშნაკელების ბოიკოტის გამო, ქალაქის თვითმართველობაში არ ეყოლება წარმომადგენლობა სომხის საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც ამ პარტიის მოწოდებას დაუჯერა. მაგრამ ჩვენ უნდა აქვე ვაღვიაროთ, რომ საარჩევნო ყუთებთან ბევრი მოვიდა სომეხიც, რუსიც, მუსულმანიც. მოვიდა განსაკუთრებით მდაბიო ხალხიდან, მუშათა უბნებიდან და თავის კლასიერ მოძმეებთან, კლასიერ თანამებრძოლებთან ერთად შეიტანა თავისი აზრი და სურვილი ქალაქის არჩევნებში.

პრესა

ერევნის სომხურ გაზეთ „ჟოლოვურთ“-ში (ხალხი) № 10 დაბეჭდილია შემდეგი მოწინავე წერილი, სათაურით: „უნდა გამოიცვალოს ჩვენი გარეშე პოლიტიკა“.

„ჩვენი რესპუბლიკა გაჭირვებაშია, ჩვენი ხალხი კვდება შიმშილისაგან და გადამდებ სენისაგან. ჩვენ მოვეწყვდით ჩიხში, რომლისაგან ალბ იქნება თუ ისე უნდა გამოვიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ნორჩი სახელმწიფო დაინგრევა და ქვეშ მოიქცევს სომეხი ხალხის დანარჩენ ნაწილებს. ეხლა ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ავლენს ჩვენს ხალხს, შიმშილს შეუმზადებია კარგი ნიადაგი გადამდებ ავადმყოფობის გასავრცელებლათ.

„ჩვენი გაზეთის ამ ნომერში მოთავსებულია სასურსათო სამინისტროს წერილი რესპუბლიკის სასურსათო საქმის მდგომარეობაზე, რომლისგანაც სჩანს, რომ სომხეთის მცხოვრებთათვის საჭიროა ყოველ თვე 70.000 ფუთი ხორბალი. ამოდენა პურის მიღება შეიძლება გარეშე ქვეყნიდან, მაშასადამე, ჩვენი სასურსათო საქმე დიდათ დამოკიდებულია გარეშე პოლიტიკაზე. მთელი რიგი პირობების წყალობით, რომლებიც წარსულის დანაშთენია და იმ მიზეზით, რომ ჩვენი მთავრობა აწარმოებდა აქამდე სრულიად მიზანშეუფერებელ პოლიტიკას, ჩვენი რესპუბლიკა მოჭრილია დღეს გარეშე ქვეყნიდან—საქართველოს ერთის მხრივ და ადერბეიჯანს მეორე მხრივ ჩაუკეტიათ ის ფანჯრები, რომლებითაც სუნთქავდა ჩვენი ხალხი.

„უნდა შევსცვალოთ ჩვენი გარეშე პოლიტიკის კურსი, რათა შესაძლებელი იყოს გარეშე ქვეყნიდან საჭირო დახმარების მიღება. უნდა გამოიცვალოს ჩვენი პოლიტიკა, რასაც ჩვენი ხალხის ეშმარიტი ინტერესები მოითხოვენ ჩვენ მეზობელ ქართველებთან და თათრებთან. გარეშე მისამ ძალაზე დაყრდნობას მთელი ჩვენი მეზობლების მისწრაფებათა წინააღმდეგ დამლუპველი შედეგები მოუტანია და ასევე იქნება მომავალშიც. ჩვენი მოკავშირენი დაინტერესებული არიან, რომ ამიერ-კავკასიაში სუფევდეს მშვიდობიანობა და წესიერება და გარ ნას ამიერ-კავკასიის გზები. ჩვენ ამ თვალსაზრითაც უნდა გამოიცვალოთ ჩვენი გარეშე პოლიტიკა.

„საჭიროა ხელი ავიღოთ ავანტიურისტულ პოლიტიკაზე, უნდა ჩვენი მეზობლების მიმართ დავადგეთ საურთიერთო დათმობის გზას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი ხალხის და სახელმწიფოს ეხლანდელი ძნიმე მდგომარეობა. უნდა შევქმნათ დიპლომატიური დამოკიდებულება საქართველოსთან და ადერბეიჯანთან, დავინიშნოთ მათთან იმისთანა კაცები, რომლებიც შეეფერებიან ამ სახელმწიფოების სურვილს. ახლა ჩვენ წინ დგას ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობის შერჩენის საკითხი.

„დღეს ჩვენმა მთავრობამ თავის მთელი ყურადღება უნდა მიაპყროს გარეშე პოლიტიკაზე, ვინაიდან ამაზედ დამოკიდებული არა თუ მარტო ჩვენი ერის პოლიტიკური მომავალი, არამედ—ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო საქმე, ჩვენი ხალხის ფიზიკურ არსებობის საკითხი“.

გაზეთი გარკვევით არ ამბობს, თუ რა გვარი საგარეო პოლიტიკა სურს მას, მაგრამ ერთი მისთვის ცხადია, რომ დაშნაკური პოლიტიკა მეზობლებთან ომისა და ხმლით საკითხის გადაჭრისა დამლუპველია თვით სომხის ხალხისათვის.

ჩვენ ამაში სავსებით ვეთანხმებით გაზეთს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთის ხალხის გაჭირვება, ჩვენ დიდ საფრთხეთ მიგვიჩნია საერთოთ მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის. ამ ხალხის, მისი დემოკრატიის ხსნას, და შველას ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვუსახავთ ჩვენს დემოკრატიას. სამწუხაროდ დღემდე ამ ხალხის გაჭირვებას დაშნაკელები ომის საბაბათ იყენებდენ ჩვენს წინააღმდეგ.

ლტოლვილნი შევ ფარეთ, იგენი ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ აამოქმედეს. ლტოლვილნი დავაბრუნეთ, ისევ ჩვენს წინააღმდეგ აამხედრეს, დავაბინავეთ—ესეც იუცხოვეს, არ დავაბინავეთ და შევინისტებათ ჩაგვითვალეს. ერთი სიტყვით წუნია დედოფალსავით ყოველგვარი ნაბიჯი, როგორიც უნდა ყოფილიყოს ის პოლიტიკური აგიტაციის საგნათ გახდება. თვით პურის შემოტანის საკითხიც ასეთად აქციეს. სწორეთ მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა დათანხმდა სომხეთისთვის თავისუფლად პურის გატარებაზე და [illegible] ხადეს. და ჩვენს ხალხს თავისთავათ დაებადა ეჭვი, რომ ჩვენი დახმარება ამ პარტიის ხელში ჩვენდა სამტრო იარაღათ იქცევა. აი, თუ გნებავთ, მიზეზი იმ მდომარეობის, რომელიც ეხლა ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ავლენს ჩვენს ხალხს, შიმშილს შეუმზადებია კარგი ნიადაგი გადამდებ ავადმყოფობის გასავრცელებლათ.

ჩვენ ვიცით, რომ სომხეთ—საქართველოს შორის საკონფლიქტო, სადაო მიწაა, მაგრამ ჩვენ გვეგონა, ჩვენ გვინდა, მოწადინებული ვართ სადაო საქმე—მორიგებით, მოლაპარაკებით, ურთიერთისთვის დათმობით დათავდეს, ხოლო ამით მეზობლურ ურთიერთობას, ეკონომიურ კავშირს საფრთხე არ გაუჩნდეს. მაგრამ, როცა ჰდროს ავანტიურა გაქვს პერსპექტივათ, როცა ხმალს ელი იმისგან, ვინც პურს გთხოვს, ძნელია იქ მეზობლობის გაწევა.

და ჩვენ ვეუსმის კარგათ ისიც, რომ ასეთ პოლიტიკას, ხალხის გაჭირვებაზე თავის გაიძვერული მიზნების აშენებას მისდევს არა სომხის დამშეული ხალხი, არამედ გამძლარი თფილისელი ელემენტები, რომელნიც აქ ხშირათ ვერც კი მალავენ თავის ზრახვებს და აშკარათ მოუწოდებენ სომხებს საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ეს მოიმოქმედა „ჰარჩმა“ ერთ თავის წერილში, რომელიც ჩვენ გადმოვიღეთ ამას წინეთ პრესაში.

ვიმეორებთ ომის და ბრძოლის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს მეზობლურ პოლიტიკით. წინააღმდეგი პოლიტიკა დღეს ვერც გარეშე ძალაში იპოვის თანაგრძნობას. იგი მხოლოდ თფილისელ და ზოგიერთ სხვა მდიდრებს მისცემს საშუალებას ერთხელ კიდევ ჩასწოხლონ თავის ხალხის ინტერესები.

ჩვენ ვილით, რომ სომხეთის ხალხი შეიგნებს ამ უბრალო ეშმარიტებას, რომ იგი ან მიიღებინებს ახალ გზას ან თავის ხელმძღვანელებს გამოიცვლის და ნამდვილ დემოკრატიულ საკმისთვის ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებს მიმართავს.

„მუაკის“ ცილისწამება

გაზეთ „ნიაკში“ მოთავსებულია წერილი სათაურით: „მოტყუილება, თუ თვითმოტყუილება“, შემდეგი შინაარსისა:

„ქართველი სოციალდემოკრატია და, მაშასადამე, ქართველი მთავრობა, დასამტკიცებლათ იმისა, რომ თავიანთი ტაქტიკა სწორია, ყველგან დაეძებენ ყვრიან—საქართველო ერთად ერთი კუთხეა, საცა დარჩენილა რევოლიუციის მონაპოვარი. ეს უალრესად სასაცილო და ცრუ აზრია, მაგრამ, სამწუხაროთ, იგი საკმაოთ ყალბ მდგომარეობაში აგდებს ქართველ მშრომელ კლასს, რომელსაც ეს სჯე-

ᲓᲦᲔᲡ

Ბრიტანეთის ჯარების მთავარ სარდალმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გრეიკორს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ შეატყობინა გენ. დენიკინს, რათა მან დაიცვას საქართველოს მთავრობის გელუსლებლობა და თავი შეიკავოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევისაგან.

———

თფილისის საქალაქო არჩევნებში 35 ათასი ხმიდან 27 ათასამდე საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიამ მიიღო და 90 ხმოსანში გაიყვანა 69. საქალაქო არჩევნებში—ხაშურში, გორში, თელავში, ხონში, ბორჯომში საქ. სოც. დემ. სიამ გაიმარჯვა.

———

არხანგელის ფრონტზე ხაბეოთა ჯარმა ინგლისის ჯარს უკან დაახევინა 80 ვერსით.

———

Ბრემენში შეტაკებები ხდება სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარებს შორის. შტეტინში და სხვა ადგილებში კვლავ დაიწყო გაფიცვები.

———

Პორტუგალიაში, ინგლისური პრესის ცნობით, მონარქია აღსდგა.

———

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებული ცნობით, კარგად მიმდინარეობს. ხალხის ფართო მასა დამფუძნებელი კრების არჩევნებით დიდათ დაინტერესებულია.

რა და არ ცდილობს დაიფასოს თუ რა ხდება მის გარშემო, ანგარიშში ჰაგდოს ის, რომ თანდათან ძლიერდება რეაქცია. საქართველო ერთად ერთი ადგილი, საცა გადარჩენილა რევოლიუციის მონაპოვარნი—ამისთანა განცხადებას შეუძლია მხოლოდ მწარე ღიმილი გამოიწვიოს. ამ განცხადების ავტორები, თავიანთ ნაციონალური სამარცხვინო საქმეების დასამალათ, განზრახ შეცდომაში აგდებენ საქართველოს დემოკრატიას.

„ზემოხსენებულის დამტკიცება ბოროტი საქმეა, იმიტომ, რომ ფაქტიურათ საქართველოს მთავრობის ეხლანდელი პოლიტიკური კურსი მიექანება ნელ-ნელა შავი რეაქციისკენ. და მართლაც, სად არიან ჩვენში რევოლიუციის მონაპოვარნი, ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების რომელ ნაწილში... თვითმპყრობელი რეჟიმის ადმინისტრატიული მეთოდები [illegible] ბიუროკრატიულ. მეფის „ოპრიჩნიკების“ ტაქტიკა საკმაოთ გაუუმჯობესებიათ „რევოლიუციონური“ ცდით.

„ვინ არ იცის პირველი სათათბიროს ისტორიული სხდომა, როცა მთელი სათათბირო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე ადგა და მთავრობას რისხვით მიმართა: „გადით, გადით, თქვენ ჯალათებო. სიკვდილით დასჯის ავტორებს უფლება არა აქვთ ფეხი შემოდგან აქო. სათათბირო არ დამშვიდდა, ვიდრე არ გაგდო მთავრობა, რომელიც სიკვდილით დასჯით ცდილობდა ებრძოლა „სახელმწიფოს საფუძველის დანგრევის წინააღმდეგ“. მაშინ სათათბიროს აღშფოთებული წევრების პირველ რიგში იყო საქართველოს მთავრობის ეხლანდელი თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, რომელსაც ათი წლობით უბრძოლნია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და რამდენიმე ათჯერ ცხენიც მჯდარა.

„ეს იყო პირველ სახელმწიფო დუმაში, როცა თფილისის ქალაქის საბჭოში ცნობა მოვიდა, რომ ბალშევიკები მოსკოვში სიკვდილით დასჯას მიმართავენო. ამ ცნობამ აღშფოთა ქართველი სოც. დემოკრატების ხელმძღვანელების სინდისი,—ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია გამოვიდნენ ძალიან სასტიკი სიტყვებით, ს. ჯიბლაძე სიტყვას ვერ პოულობდა თავის აღშფოთების გამოსათქმელად.

„ეს გუშინ იყო, მაგრამ ეხლა? ნოე ჟორდანიას მთავრობას შემოუღია სიკვდილით დასჯა, და ს. ჯიბლაძეს, სად ხარ სირცხვილო, გამოაქვს სიკვდილით დასჯის განმარტებანი პოლიტიკურ ლაბნაშავებისათვის,—„სახელმწიფოს საფუძველების დამგრეველთა წინააღმდეგ“. რა ნაირი სირცხვილია! და ეს ხდება ერგრეთ წოდებული სოციალისტი პირების ხელით.

„ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის საპე ეგრეთ წოდებულ ქართველ სოციალ დემოკრატების ხელშია; ცნობილია, რომ ამ პარტიას აქვს თავისი მინიმუმი—პროგრამა, რომელშიც იყო დემოკრატიული მოთხოვნილებანი, რომლებიც ცხოვრებაში გაატარა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ. გავსინჯოთ, განა დარჩენილა კი საქართველოში ამათგან თუ გინდ მოჩვენება? პირველების ხელუხლებლობა. რომ შორს არ წავიდეთ, საკმაოა, რომ მოვიგონოთ იანვრის 9 ის ისტორიული შემთხვევები და გავიგებთ, თუ როგორ ინახავენ საქართველოში „რევოლიუციის მონაპოვართ“.

„დერეკმორდიის“ ყველაზე მკაცრი სისტემა თავისი სასირცხვილო ფორმებით აღმდგარა ჩვენში და იხმარება წარმოუდგენელი ზომით.

„ციხეები სავსეა ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებულებით, თვეობით უდანაშაულო ხალხნი იტანჯებიან და მათ არ ურდგებენ არც ერთ ბრალდებას. საკმაოა, რომ ადმინისტრაციის ამა თუ იმ პოპპადურს არ მოსწონებია ამისი ან იმისი სახე, რომ დაპატიმრება მოხდარიყო.

„მაგრამ შეიძლება დარჩენილა პრესის თავისუფლება? ადმინისტრატიულათ დახურული გაზეთების და სტამბების მთელი რიგი ამისი საუკეთესო მაგალითია. პრესის წინააღმდეგ ამისთანა ნაბიჯებს სდგამენ, რომ არ უნახავს რუსეთს პრესას თვით მეფის მთავრობის ყველაზე უფრო რეაქციონურ დღეებში. საკმაოა მოვიგონოთ ნ. რამიშვილის განთქმული შთაგონება თავის კაბინეტში მოწვეულ რედაქტორებისადმი. მეფის ჯალათები უკრძალავდენ წერას მთავრობის წინააღმდეგ, ნ. რამიშვილი კი დანაშაულობათა თვლის,—თუ პრესა არ დასწერს მთავრობისთვის სასიამოვნო ფორმით.

„ადმინისტრატიულ ამისთანა სიბრძნეს არ მიუღწევია ჟანდარმულ რუსეთის დღეებშიც კი.

„ეხლა ვთქვათ სიტყვის, კრებების, კოალიციის თავისუფლებაზე. რა მდგომარეობაში არიან ესენი დემოკრატიულ საქართველოში?

რისთვის არიან გენ. გუბერნატორები, სამხედრო წესები, თვითმართველობის ეს მუდმივი ატრიბუტები, რომლების როლი იყო დაახრჩოს თავისუფალი სიტყვა, გაანადგურონ „კრამოლნიკების“ კრებები. რა ნაირი მაცხრათ აგდებაა დემოკრატიული პრინციპებისა, სოც.-დემოკრატიულ მთავრობის დროს არსებობენ ფარული პარტიები, ეს დაცინვაა ელემენტარულ დემოკრატიულ მოთხოვნილებისა და არა „რევოლიუციის მონაპოვარის“ შენახვაა.

„მაგისთანავე საშეუხარო ვითარებაშია საარჩევნო კანონიც. რუსეთის რევოლიუციის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო არჩევნების ყველაზე ფართო დემოკრატიზაცია. საყოველთაო, საიდუმლო და თანასწორი არჩევნები ქართველ დემოკრატიულ მთავრობის წყალობით გაახდარან მარტო ქართველ ტომის პრივილეგიათ. რუსის ბიუროკრატია სხვა და სხვა განმარტებებით ცდილობდა ეგრეთ წოდებულ „კრამოლნიკ“ ელემენტების მონაწილეობის შეკვეცას. ესეც, ალბათ, „რევოლიუციის მონაპოვარის შენახვაა“.

„ყველაზე უფრო სასაცილო საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებაა მშრომელ კლასთან [illegible]

„განა ეს მთავრობა არ ითვლება მშრომელ ხალხის მთავრობათ? მშრომელ ხალხის მთავარი იარაღია გაფიცვის თავისუფლება. ეს მისი ბრძოლისთვის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. სოციალდემოკრატიას ათი წლობით უბრძოლნია ამ უფლების მოსაპოვებლათ.

„გვეგონა, რომ ჟორდანიას მთავრობა, თუნდ ამ საკითხში, დარჩებოდა კლასიურ ნიადაგზე, მაგრამ ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს. გაფიცვის თავისუფლება საქართველოში არსებობს პირობით ისე, როგორც მეფის რუსეთში.

„დასამტკიცებელი ფაქტი ტყვიბულის მუშების გაფიცვა არის. შრომის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა დაეთხოვათ რამდენიმე ასი მუშა, რომლებსაც გაუბედიათ ეკონომიური მოთხოვნილების წარმოდგენა და რესპუბლიკის საფუძვლების დანგრევა. ყველაფერში სისწორით გადმოღება არა თუ ჟანდარმულ რუსეთის მეთოდებისა, არამედ—მისი ჟარგონისა.

ჩვენი ცხოვრების რომელი წრეც არ ავიღოთ, ვნახავთ იმავე მდგომარეობას, იმავე რეაქციონურ ნაბიჯებს და ტაქტიკას.

„ეგენიც არ დარჩა საკმარისი; შეუქმნიათ იმისთანა დაწესებულებანიც კი, რომლებიც პოლიციური მთავრობისთვის საჭირო ატრიბუტებს შეადგენენ—გამჩხრეკი ნაწილი, საგანგებო რაზმი, რომელიც ასრულებს ძველი „ოხრანის“ განყოფილების ფუნქციებს და სხვა.

„ის ლეგენდა, ვითომ საქართველოში შეუნახავთ რევოლიუციის მონაპოვარი, მიუტევებელი მოტყუილებაა, უსაფუძვლოა და მოგონილია გულუბრყვილოების შეცდომაში შესაყვანათ და დასაფარათ იმ შოვინისტურ-ნაციონალისტური შავი საქმისა, რომელსაც აკეთებს საქართველოს მთავრობა.

„საჭიროა ხაზ-გასმით ვთქვათ, რომ საქართველოს მთავრობა აწარმოებს მძლავრ რეაქციონურ პოლიტიკას და მშრომელი კლასი, რამდენათაც კარგათ და ადრე შეიგნებს ამ მდგომარეობას, იმდენათ შეტი შეძლება ექნება მასთან საბრძოლველათ“.

———

მოკლეთ რომ ვთქვათ, გაზეთი დიდ ბოროტებათ გვითვლის იმას, რომ ძეგვის ხიდის ამფეთქებელთ სიკვდილის დასჯა გადაუწყვეტა სასამართლომ. გაზეთმა იცის, რომ ნ. ჟორდანია და ჩვენი პარტია რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე აცხადებდა, რომ რევოლიუციის ხანაში იგი მომხრეა სიკვდილით დასჯისა დემოკრატიის მტრების შესამუსრათ, რომ იგი დემოკრატიის დასაცველათ სხვის სიცოცხლეს არ მოერიდება. მაგრამ მაინც ურევს ერთმანეთში სტოლიპინის ტერორს ხალხის წინააღმდეგ და დღევანდელ დასჯას ხალხის დემოკრატიის მტრებისას, რომელნიც სტოლიპინების გაბატონებას ემსახურებიან.

გაზეთი გვაბრალებს დაჭერას ხალხის მტრებისას, დახურვას ისეთი მტრული გაზეთებისა, ესე იგი, ბრძოლის დროს, როცა გარეშემო სისხლის სუნი ტრიალებს და ყოველ ქადაგებას იარაღის ქლარუნი მოსდევს, გვიკიცნებს ამ ბორკოტების წინააღმდეგ ზომების მიღებას. ცხადია ეს ვაჟბატონები რევოლიუციას ზომავენ მშვიდობიანი დროის საზომით. მაგრამ განა ასეთი მშვიდობიანი ხანაა დღეს? დემოკრატიას თავს ესხმიან ერთნი იარაღით ხელში, მეორენი კი სიტყვით უშზადებენ ნიადაგს ამ იარაღიან თავდამსხმელთ. და განა შეიძლება დემოკრატიის დამცველი ასეთ დროს ხელდაკრეფილი იყვეს და ყბაში გამრტყმევს მეორეც მიუშვიროს?

აი ასეთი რნენით მოდიან ჩვენთან და ამისთვის გვებრძვიან ეს „მშაკის“ ინტერნაციონალისტები.

ჩვენ არას ვიტყვით მოქალაქეობის კანონზე, რომელმაც საქართველოს დემოკრატიის **მთავარ** მტრებს წაართვა ხელში იარაღი.

უნდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ მხოლოდ ტყიბულის მუშებზე. მათი გაფიცვა იმ დროს და იმ მოთხოვნების გამო, რომელიც მათ წამოაყენეს მთელმა მუშათა კლასმა დაგმო. იგინი გაიფიცნენ, როცა ამით მთელი რკინის გზა ჩერდებოდა და მოითხოვეს 10 გირვანქა პური, როცა ის 5 მანეთი ღირდა. ცხადია, ეს იყო პროვოკაციული მიზნით და მოსაზრებით შეჭმნილი გაფიცვა, რომელსაც ყველა ადგილობრივი **მოწინავე მუშები ეწინააღმდეგებოდნენ.**

ცხადია, შრომის მინისტრს არ შეეძლო მთელი მუშათა კლასი შეეწირა მსხვერპლათ რამდენიმე ასეულ მუშებისთვის, რომელნიც პროვოკაციამ აიყოლია და რომელთაც თვით ჭიათურის, თფილისის მუშათა წარმომადგენლების რჩევა-მოთხოვნა უყურადღებით დასტოვეს.

მაშ, რათ დასჭირდა „მშაკს“ ამ მოტყუებულ მუშათა გაფიცვის გამოსარჩლება? ცხადია, იმისთვის, რომ ის სომეხი მუშები შეიყვანოს შეცდომაში, რომელნიც სხვა გაზეთებს არ კითხულობენ. და ეს არის პროვოკაცია არა ნაკლები ტყიბულის პროვოკაციაზე.

„მშაკის“ წერილი ჩვენ სავსებით გადმოვბეჭდეთ, რომ მკითხველმა, მოწინავე მუშებმა გაიგონ, რა ჯურის ხალხია შეგროვილი ამ გაზეთის გარშემო და თავის მოძმე სომხის მუშებსაც აუხსნან ამ გაზეთის სულის ჩამდგმელთა ნამდვილი მისწრაფებანი.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

თ ფ ი ლ ი ს ი.

არჩევნებში ხმა მისცა სულ 35.366 ამრჩეველმა. აქედან სოციალდემოკრატიულმა სიამ № 1—მიიღო 26 909 ხმა. გაიყვანა 69 ხმოსანი; ნაციონალ-დემოკრატებმა № 2—3806 (10 ხმოსანი), სოციალისტ-რევოლიუციონერებმა № 3—141 (ვერც ერთი ხმოსანი), რუსეთის სოციალდემოკრატ. პარტიის ჯგუფმა № 4—440 ხმა (1 ხმოსანი); სოც.-ფედერალისტებმა № 5—2924 ხმა (7 ხმოსანი); მუსულმანთა ნაციონალურმა საბჭომ № 6—6 ხმა (არც ერთი ხმოსანი); ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიამ № 7—418 ხმა (1 ხმოსანი); დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატებმა № 8—398 ხმა (1 ხმოსანი); სახლის პატრონთა კავშირმა № 9—306 (1 ხმოსანი).

დამატებითი ცნობები უბნობით ხმის მიცემისა ასეთია:

მე 2 საარ. უბ. საბურთალოს თეატრი—1—1097; 2—113; 3—0; 4—0; 5—115; 6—0; 7—0; 8—0; 9—2.

მე 4 საარჩ. უბ. პირ. მომრ. სასამართ. გან. —1—579; 2—371; 3—1; 4—3; 5—248; 6—0; 7—6; 8—69; 9—8.

მე-11 საარ. უბ. ვ.ქ. პირველ გიმნაზიაში —1—361; 2—171; 3—8; 4—20; 5—91; 6—0; 7—5; 8—15; 9—7.

მე 20 საარ. უბ. ნადიადინის თავშესაფარი—1—389; 2—5; 3—8; 4—0; 5—0; 6—0; 7—0; 8—0; 9—0.

მე 35 საარჩ. უბ. ჩერქ. ქუჩა № 29—1—1007; 2—235; 3—10; 4—20; 5—181; 6—0; 7—19; 8—2; 9—3.

მე 38 საარ. უბ. კათოლიკური სასწ.—1—383; 2—194; 3—1; 4—7; 5—82; 6—0; 7—30; 8—23; 9—10.

მე 44 საარჩ. უბ. საკვირაო სკოლა—1—999; 2—6; 3—0; 4—7; 5—25; 6—0; 7—3; 8—0; 9—5.

მე 45 საარჩ. უბ. ჩერქ. ქუჩ. სახ. ბოტანი—1—1102; 2—20; 3—8; 4—6; 5—29; 6—0; 7—6; 8—0; 9—0.

მე 47 საარჩ. უბ. სასურსათო ლუქანი—1—1308; 2—8; 3—0; 4—4; 5—23; 6—0; 7—2; 8—0; 9—0.

მე 49 საარ. უბ. რკინის გზის საქ. სასწ. —1—1034; 2—36; 3—2; 4—8; 5—92; 6—0; 7—9; 8—2; 9—5.

———

Ბორჯომი. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არარჩევნები დასრულდა. სოც.-დემოკრატებმა გაიყვანეს 12 ხმოსანი, სოც.-ფედერალისტებმა 2 და უპარტიოებმა 6.

ყვირილიდან. ქალაქის არჩევნები დამთავრდა. 2 ს თებერვალს ამომრჩევლები დიდ ინტერესს იჩენდნენ. შედეგი ასეთია: სოციალ-დემოკრატები—13 ხმოსანი, ს.-ფედერალისტები—1, ნაციონალ-დემოკრატები—5, დამოუკიდებლები—1.

თავმჯდომარე **Ბუაჩიძე.**

———

ყვირილა. ქალაქის არჩევნებში გავიმარჯვეთ. შევიძინეთ ორი ახალი ადგილი, რომელიც დაჰკარგეს ნაციონალ-დემოკრატებმა. ოც ხმოსანში გავიყვანეთ ცამეტი.

სოც.-დემ. კომიტეტი.

———

თელავი. ქალაქის არჩევნებში 30 ხმოსნიდან სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 16 კაცი, ფედერალისტებმა 4, ნაციონალ-დემოკრატებმა 5, პროგრესიულ ბლოკმა 5.

საარჩევნო კომისია.

———

Ხაშურის საქალაქო არჩევნებში ჩვენ ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ. სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 19 ხხოსანი, ფედერალისტებმა ერთი ხმოსანი. **მანელი.**

———

ქ. სენაკის საქალაქო არჩევნები. 26 იანვარს ქ სენაკში მოხდა საქალაქო არჩევნები. არჩევნების პროცესში აღმოჩნდა მრავალი დეფექტები. საარჩევნო უფლება წაერთვა ქალაქს მთელ განაპირას. ათასზე მეტი ადგილობრივი მკვიდრი მოქალაქე დარჩა გარეთ ხმის მიუცემლათ. პირადი ბარათები არ აღმოჩნდა ყველასათვის დამზადებული და უამისოთ არც ერთი არ იქნა დაშვებული საარჩევნო ყუთთან. იყო მრავალი სხვა სერიოზული მიზეზები; გამოძიება სწარმოებს, არჩევნების უკანონობაზე საჩივარია შეტანილ საოლქო სასამართლოში.

Ხონი. ქალაქს არჩევნებში სოც.-დემ. გაიყვანეს 14 ხმოსანი, ფედერალისტებმა 5 და ნაც. დემოკრატებმა 1.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ.

გაცნობებთ შემდეგს შესასრულებლად:

1) პარტიების ოფიციალურ წარმომადგენელთ უფლება აქვთ თავიანთი პარტიის ბიულეტენები წაიღონ ამომრჩეველთა დასარიგებლად, თუ რომელიმე პარტია ერთი დღის განმავლობაში დღიდან ბიულეტენების მიღებისა უარს იტყვის მათ წაღებაზე ან სრულიათ არ გამოცხადდება, მაშინ თვითონ კომისია ვალდებულია წაღებული ბიულეტენები ამომრჩევლებს დაურიგოს. თუ პარტია მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში კისრულობს დარიგებას, მაშინ დანარჩენ რაიონებში დარიგება კომისიას ევალება. კომისიის მოვალეობას შეადგენს თვითეულ საარჩევნო ყუთთან ყოველ შემთხვევისათვის იქონიოს პარტიების ყველა ბიულეტენები. ბიულეტენების დასაგზავნი ხარჯი, კაცისთვის დღიური, სასმელ საჭმელის, გზის ფული და გადაზიდვის ქირა თქვენ უნდა გაიღოთ და ხარჯთ აღრიცხვაში აღნიშნოთ.

2) შესაძლებლად მიგვაჩნია მოძრავ ყუთების დაშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში—მთა-გორიან, მიუვალ და შორს მდებარე ადგილებში. ყოველ ცალკე შემთხვევაში თვით კომისიამ უნდა გადასწყვიტოს მოძრავი ყუთების დაშვება და ამ გადაწყვეტილებას უნდა ემხრობოდეს კომისიის სხდომის არა ნაკლებ ორი მესამედისა. მოძრავი ყუთები თუ შემოღებულ იქნა, აუცილებლად უნდა იქნას დაცული კანონის ყველა მოთხოვნილება ყუთის შესახებ და მიღებულ იქნას ზომები, რომ ერთმა და იმავე ამომრჩეველმა მხოლოდ ერთხელ მისცეს ხმა და ასეთი ყუთებისათვის ამომრჩეველთა ცალკე სია უნდა იქონიოთ.

3) კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა არჩევნებში ჩარევა, როგორც ამა თუ იმ პარტიის აქტიურ დამცველებისა, დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შედგენილ იქნას სათანადო ოქმი კომისიის მიერ და წარმოდგენილი ცენტრალურ კომისიაში.

Ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალ. Ლომთათიძე.

——

რა გვასწავლა საქალაქო არჩევნებმა?

თფილისის საქალაქო არჩევნები გათავდა. ის ნაკლი, რაც ამ არჩევნების დროს იყო დაშვებული, თუ რულებით არ გასწორდება დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს, რამდენათაც შესაძლებელია უნდა გასწორდეს მაინც.

იმ უბანში, სადაც მე დავესწარი არჩევნებს შემდეგი შეცდომა იყო ჩადენილი: თითქმის ნახევარი ნაწილის ამრჩევლებისა გვარი და სახელი გადამახინჯებული იყო, ნომრები არეული, ერთ და იმავე ბინის მცხოვრებლები სხვადასხვა ალაგას იყვენ ჩაწერილი ხმის მისაცემათ. ბევრი სიაში სულ არ აღმოჩნდა შეტანილი და გულ დაწყვეტილნი [illegible] რუნდენ.

მცხოვრებლების უმცირესობამ არ იცის აგრეთვე, როგორ უნდა ხმის მიცემა; ზოგ კონვერტში ორ ორი სამ-სამი ნომერი აღმოჩნდა, ზოგში თითო თითო პირველი და მეორეც; ზოგი ხელს აწერს, დეპუტატის სურათსაც შიგ დებს ნომერთან ერთად; კანონით ასეთები არ მიიღება და ხმებიც იკარგვის. ყუთში ცარიელი კონვერტებიც ბევრი აღმოჩნდა. გასაკვირიც არ არის, ჩვენში არჩევნებს ეხლა ეჩვევა ხალხი და შეცდომებიც მოსალოდნელია, მაგრამ საჭიროა მეტი მუშაობა, მეტი ენერგია. თამამად შეიძლება ითქვეს, რომ ჩვენმა პარტიამ ამ არჩევნებში რამდენიმე ათასი ხმა დაჰკარგა იმიტომ, რომ არ იყო არჩევნები მოწყობილი სათანადოთ. დამფუძნებელი კრების მომავალ არჩევნებში ამ მოვლენას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. დღეიდანვე უნდა შევუდგეთ მუშაობას. ათი დღის შემდეგ დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყება! დრო მეტად მცირე დარჩა. Ხილია.

———

Ხაშური. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია კარგად მიმდინარეობს. იმართება კრებები და მიტინგები, როგორც ხაშურში. ისე სოფლებშიაც. აღწერა დამთავრებულია. საარჩევნო კომისიები სოფლად არჩეულია. სამაზრო ცენტრის დადგენილებით მთელი გორის მაზრა დაყოფილია სამ რაიონად: ხაშურის, გორის და ცხინვალის. ყველგან დაგზავნილია პროპაგანდისტები. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე პლაკატები. ს. დ. ლიტერატურას დიდი გასავალი აქვს მასსაში.

———

ᲐᲚᲘ (ქართლი). კვირას, 2 თებერვალს, გაიმართა დიდი მიტინგი, ხაშურიდან დაესწრენ ამხანაგები ნ. იმნაიშვილი და თადეოზ ხიხლაძე. იყვნენ აგრეთვე მოწინააღმდეგენიც. შთაბეჭდილება საუცხოვო. ხალხი აღტაცებით შეხვდა ნ. იმნაიშვილის სიტყვებს. ყველანი ერთხმად იმეორებდენ: „ჩვენ თუ გვიშველის, ისევ პირველი ნომერი გვიშველის, ამიტომ ამ არჩევნებშიაც მას უნდა მივცეთ ხმაო“. გავრცელებულია ავადმყოფობა. ოჯახს არ ნახავთ, რომ არ ყავდეს ორი ან სამი ავადმყოფი. მიუხედავად ამისა და ძალიანი ცუდი ამინდის მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო.

———

ᲮᲘᲪᲘᲮᲘᲡ ᲮᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ (ქართლი). 2 თებერვალს გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკა ამხ. ნ. პატარიძემ. გლეხები თანაგრძნობით შეხვდა მის ლაპარაკს. საერთოთ სოფელს მეტი ყურადღება, მეტი პროპაგანდა აგიტაცია სჭირდება. იმედია ამხანაგები მიაქცევენ ამას ყურადღებას. **ᲛანᲔᲚᲘ.**

———

ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ მუშა მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ 3 თებერვალს მოისმინა რა მოხსენება ამხ. გომართლის და ჩიხლაძისა თანამედროვე მომენტზე და დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ, ერთხმად დაადგინა, რომ არჩევნებში ხმას მისცემენ სოციალ-დემოკრატიულ სიას № 1-ს.

თავმჯდომარე **კალაძე.**

———

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ დაყოფილია 91 საარჩევნო უბნათ. მოწყობილია 29 საზოგადოებისა და 91 საარჩევნო კომისიები. ამომრჩეველთა რაოდენობა უდრის 70,000. დამატებითი სიები ყოველგან შემდგარი და გამოქვეყნებულია. ჯერ ჯერობით არავითარ პროტესტებს და საჩივრებს ადგილი არ ჰქონია. საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია. ხალხი დიდის იმედით შეყურებს დამფუძნებელ კრებას. ინდიფერენტიზმს ადგილი არ ექნება. ჩვენი პარტიის გამარჯვებისათვის შანსები დიდია.

———

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ სოც. დემ. კოლექტივის მიერ მოწვეულ მრავალ-რიცხოვან მიტინგზე 3 თებერვალს მიწად-მოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე და საადგილ-მამულო რეფორმის შესახებ. მიტინგი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. ილაპარაკეს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა. სოც. დემ. ორატორების გარდა სხვებს გასავალი არ ჰქონდა ხალხში.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. 3 თებერვალი. (საკ. კორესპ.). 2 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე გაიხსნა ჯავახეთის გლეხთა საოზრო ყრილობა. დაეწერო 138 გლეხი-დელეგატი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ექვთიმე მიქელაძე, ამხანაგებათ: რამიშვილი და ტერ-სტეფანოვი, მდივნებათ ჩხენკელი და ანანიაშვილი. დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: მომენტი, აგრარული რეფორმა, დამფუძნებელი კრება, ერობა და ლტოლვილთა საკითხი. მომენტზე მოხსენებას აკეთებს ლეო რუხაძე. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხკაცობა, როგორც ღვაძლი შვილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, იზიარებს რა სავსებით მთავრობის დემოკრა-

ტიულ პოლიტიკას, მიაჩნია ის თავის ერთად ერთ დამცველათ და მთელი ძალღონით მხარს დაუჭერს თავრობას რესპუბლიკის „განმტკიცების საქმეში“. ანალოგიურ დავითიანცის სიტყვას, რომელმაც აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის დიდი ღვაწლი თავისუფლების დამკვიდრების და ეროვნებათა შორის სოლიდარობის აღდგენის საქმეში, ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. სომეხ გლეხებიდან გაისმოდა: „კეცე ვრასთან“ (გაუმარჯოს საქართველოს). აგრარულ რეფორმაზე მოხსენება გააკეთა მიქელაძემ. მეტათ დაინტერესა ამ საკითხმა გლეხები. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხკაცობა სიხარულით ეგებება მთავრობის განზრახვას ჯავახეთში აგრარული რეფორმის გატარების შესახებ და აღუთქვამს ამ საქმეში ყოველგვარ დახმარებას“. დამფუძნებელ კრებას და ეროობის არჩევნების შესახებ ყრილობამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხთა ყრილობა აცხადებს მთელი მაზრის სახელით, რომ ის დამფუძნებელი კრების და ეროობის არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს და მხარს დაუჭერს მშრომელი დემოკრატიის საარჩევნო სიას“. ლტოლვილთა საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხანაგ რამიშვილმა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება ამხანაგ რამიშვილისა მაზრის მდგომარეობის შესახებ ადგენს: ეთხოვოს მთავრობას დაუყოვნებლივი დახმარება ადმოუჩინოს აოხრებულ გლეხკაცობას პურით, შაქრით, ნავთით, თბილი ტანისამოსით, სათესლე ხორბალით, ინვენტარით და სხვა. დაივალოს ყრილობის მიერ არჩეულ პირებს მიიღონ მთავრობიდან ყველა ეს დახმარება და მაზრის ადმინისტრაციის დახმარებით გაუნაწილონ დამშეულ და აოხრებულ გლეხკაცობას“. ყრილობა ღამის სრულ 1 საათზე დაიშალა „ვაშას“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით.

როგორ ეწყობა ძალაქის საბჭო ბათუმში?

ბათუმი. თებერვლის 2. მასლოვი თარეშს განაგრძობს. ყოველ დღე ახალ-ახალი სიურპრიზებია. საოლქო საბჭო ერთს ადგენს, მეორე მესამე დღეს მასლოვის მოხსენების თანახმად გუბერნატორი საბჭოს დადგენილების სრულიად წინააღმდეგ ბრძანებას სცემს. 29 იანვარს საოლქო საბჭომ გადასწყვიტა საქალაქო არჩევნები საყოველთაო ყოფილიყო. 31 იან. ქალაქის თვითმართველობამ ბრძანება მიიღო შეადგინოს ახალი საბჭო ნაციონალურ საბჭოებიდან გამოგზავნილ პირთაგან. საფუძვლად დაედება 1917 წლის ივლისში მომხდარი სამეურნეო აღწერა, როცა ქართველები საზოგადოთ ყველაზე მცირე იყო სხვა ეროვნებასთან შედარებით—9530 კაცი მაჰმადიან ქართველებთან ერთად. გუბერნატორის განკარგულებით ყველა ქართველებს ეძლევა 16 ხმოსანი, ერთ მესამედზე ნაკლები, ვინაიდან ხმოსანთა რიცხვი მიღებულია 60 და რადგან მასლოვის აზრით ქართველი მაჰმადიანები შეადგენენ ყოველთვის ნახევარზე ცოტა ნაკლებს ქართველებზე, ამიტომ 16 ხმოსნიდან ათი ქართველი და ექვსი მაჰმადიანი უნდა იყოს, მაშინ, როდესაც ყოველთვის ქართველ ხმოსანთა რიცხვი აღემატებოდა 43 პროცენტს. ეს უსამართლობა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მიზეზათ, ქალაქის საბჭოს ამგვარად შედგენისა, ასახელებენ არჩევნების მოსახდენათ დროს უქონლობას, საყოველთაო არჩევნების მოსახდენ ხარჯების და ახლად ჩამოსულთა სიმრავლეს. გუშინ მოხსენდა ეს ბრძანება ქალაქის საბჭოს, მაგრამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ მისი შეცვლა და გაუქმება არ შეიძლება, ამიტომ საბჭომ გეჯელი („რისკი“) არ ქნა, ხოლოდ გამგეობას დაევალა ბრძანების ზოგიერთ გაუგებარ მუხლების ახსნა-განმარტება მოითხოვოს, რადგან ხმოსანთა არჩევნების ამგვარი კანონი არავინ იცის.

ინგლისის მისია საქართველოსა და მოხალისეთა არმიის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 29 იანვარს წერილობით მიმართა ამიერკავკასიაში მყოფ ინგლისის მისიის თავმჯდომარეს, საცა ის სთხოვდა მისიას დაედასტურებინა, რათა სოჩის ოლქში რომ დაკავებული აქვს მოხალისეთა არმიას ნაწილი და იქ ახდენს შეჯგუფებას, ეს სამხედრო ძალები არ იქნება გამოყენებული საქართველოს რესპუბლიკის სამტრო მიზნებისთვის.

8 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე ბრიტანეთის ჯარების მთავარ სარდლისაგან გენ. ფორეს-ტერ-ვოკერის ხელმოწერით მოვიდა ქალაღი შემდეგი შინაარსისა:

„ბრიტანეთის ძალების მთავარ-სარდალმა მე მომანდო გადმოგცეთ თქვენ აღმატებულებას, რომ ბრიტანეთის მთავრობამ შეატყობინა გენ. დენიკინს, რომ მან უნდა დაცვას საქართველოს მთავრობის ხელუხლებლობა და თავი შეიკავოს მის შინაურ საქმეებში ჩარევით“.

მე მგონია, რომ ეს ცნობა დაარწმუნებს თქვენ აღმატებულებას იმ კითხვის შესახებ, რომელზედაც თქვენ მე მწერდით“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

4 თებერვალი.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბელგიისთვის სურსათის და სხვა საგნების მისაწვდენათ დაიწყო ინგლისის ჰაეროპლანების წესიერი მიმოსვლა ფოლკსტონსა და გენტის შუა.

ოპორტოდან 3 თებერვლის 1 თარიღით იუწყებიან, რომ მას შემდეგ, რაც დადასტურდა ცნობა მონარქისტთა ჯარების გამარჯვების შესახებ, კონგეიროს მეთაურობით შესდგა ეროვნული კაბინეტი. მთავრობა ჯარმა დანიშნა, მას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. გამოცხადდა კონსტიტუცია, რომლითაც აღდგენილ იქნა ტრადიციულ რეჟიმის კანონი. მთავრობა სარგებლობს სრული ძალა უფლებით სამეფოს უმეტეს ნაწილში, რომელმაც სცნო... (გაუგებარია) მეფე მანუელი. მთელ ლისაბონის ოლქში სრული სიწყნარეა. ოლქი მონარქისტების კანტროლ ქვეშ იმყოფება. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. თეატრები გაიხსნა. ფიქრობენ, რომ ხალხის სურვილი მონარქიის აღდგენისა მალე განხორციელდება.

მოკავშირეთა შორის ტრედუნიონების კონფერენციის სხდომაზე თებერვლის 11 ამერიკის და ბელგიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი ბერლინში სოციალისტურ კონფერენციაზე არ წავლენ. პარიზში დარჩებიან საერთაშორისო კონფერენციის მოსაწყობად და გერმანელებთან მოლაპარაკებას გამართავენ მხოლოდ საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ; მიუხედავად ამისა ეცდებიან, რომ ყველა ქვეყნის მუშათა სასარგებლო პირობები იქნეს მიღებული. საფრანგეთის შრომის სამინისტროს მდივანმა ჟუტომ განაცხადა, რომ მუშათა ხელშეკრულობის შემუშავებაში ყველა ქვეყნებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და დაუმატა: თუმცა ვწუხვარ, რომ ამერიკის და ბელგიის დელეგატები ბერლინს კონფერენციაზე არ მიდიან, მაგრამ საფრანგეთის შრომის საერთო კონფერენცია მაინც წავა ბერლინში“.

რუსეთიდან იუწყებიან, იანვრის 29 და 30, არხანგელის რკინის გზაზე ტარასოვთან ბოლშევიკებმა დიდი შეტევა დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ, მოკავშირეთა ჯარი იძულებული იყო ჩრდილოეთისკენ უკან დაეხია ტარასოვის ჩრდილოეთით 30 მილის სიშორეზე. ბოლშევიკები მხრჩოლავ გზებს ხმარობენ მოკავშირეთა ჯარის წინააღმდეგ. მურმანის მხარეში მოხალისე კორელთაგან შემდგარი მოკავშირეთა მოწინავე რაზმი ამ ჟამად სარიკიდან 20 მილის სიშორეზე იმყოფება. ეს სოფელი ცენტრია, სადაც კორელები შესძლებენ მოადგილეთ მოხალისენი ბოლშევიკებისგან თავის ქვეყნის დასაცავად.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ბრემენში მდგომარეობა თან და თან რთულდება და ყოველ დღე სერიოზული შეტაკებები და ბრძოლა ხდება სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარის შორის. ნოსკემ გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ბოლშევიკურ ქაოსს, ის აღნიშნავს, რომ სურსათით დატვირთულ გემს არა აქვს შეძლება შევიდეს ბრემენის ნავთსადგურში და ამიტომ აუცილებელია ბრემენის და სხვა ნავთსადგურები გაიწმინდოს ბოლშევიკებისგან. თუ მუშებმა წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის ჯარს, უკანასკნელი მზათაა ყოველგვარი საშუალება იხმაროს აჯანყების ჩასაქრობად.

დიუსელდორფიდან იუწყებიან, რომ სპარტაკელნი ახალ აჯანყებას ამზადებენ. შტეტინში ისევ დაიწყო გაფიცვები, მცხოვრებთ არა აქვთ წყალი და იმედოვნებენ, რომ გაფიცვები მალე შეწყდება.

ერთი გემი, ალბათ ინგლისური რეებრიუგენთან ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: გენერალმა მარშმა განაცხადა, რომ ამერიკის ერთ მილიონზე მეტი ჯარისკაცი უკვე გაშვებულია სახლში.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ნაუენი. ბრემენის მეთაურები მზათ არიან ჩამოართვან იარაღი მუშებს და ბრემენში დაბინავებულ 5—75 პოლკს გადასცენ. თავის მხრით ბრემენელები თხოულობენ, რომ გენტემბურგის დივიზია დაუყოვნებლივ უკანვე იქნას გაძახებული. ნოსკემ ცენტრალურ მთავრობის სახელით მიმართა ბრემენის სახალხო რწმუნებულებს თხოვნით არ გასწიონ წინააღმდეგობა. ბრემენის კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს დახურონ ბურჟუაზიული გაზეთები. აწყობენ ნავთსადგურის მუშებს შორის სპარტაკულ მოძრაობას. გერმანიის ქალაქებში მოდის ამერიკელთა კომისია ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად. ფრანგული გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს: მოკავშირე იმპერიალისტები რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდნენ ვითომდა სამართლიანობისთვის, ეხლა უნდათ გერმანიის ახალშენები ხელთ იგდონ, რომლების ექსპლოატაციას ისეთივე ბარბაროსული წესით მოახდენენ, როგორც გერმანელები. **ლონონი.** თებერვლის 2. სტამბოლში ოფიციალური განცხადებებია გაკრული, რომ მოკავშირეთა სარდლობა გერმანია-ავსტრიის ბანკების ოპერაციებს და ოსმალეთის რკინის გზის კანტროლს კისრულობს. სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ბრატიანომ განაცხადა, რომ რუმინია მოითხოვს ტრანსილვანიას ბუკოვინას, ბესარაბიას, დობრუჯას და წინადადება მისცა, რომ მოკავშირეთა ჯარმა დასცალოს ბანატი და ტრანსილვანია იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ ბალშევიკების გადაჯგუფებას. კონფერენციამ დაადგინა: დააარსონ კომისია რუმინიის საკითხის განსახილველათ. ჰელსინგფორსიდან მოსული ცნობით, სურსათი გერმანიას ეყოფა 15 მაისამდე. **კონსტანტინოპონი.** თებერვლის 3. რუსეთის ჩრდილოეთ ფრონტის ოფიციალური ცნობა. 3 იანვარს ბალშევიკებმა იერიშებმი მოიტანეს ტარასოვასთან არხანგელსკი-ვოლოგდის რკინის გზის მიმართულებით. მოკავშირეთა ჯარი იძულებული შეიქნა უკან დახეულიყო. შტეტინში გაფიცვებია. ქალაქი უსინათლოთ და უწყლოთ დარჩა. 31 იანვარს დასრულდა დემობილიზაცია 22000 აფიცრის და 556000 ინგლისელ ჯარისკაცის. ამის შემდეგ მრავალი განცხადება მოდის აფიცერთაგან და ჯარისკაცთაგან, რომელთაც სურთ ისევ შევიდნენ სამხედრო სამსახურში. **მოსკოვი.** პარიზიდან მოსული რადიო დეპეშაზე, რომელიც იუწყება გადაწყვეტილებას მოიწვიონ რუსეთის ყველა მთავრობა პრინცის კუნძულებზე, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა მიმართა სტოკჰოლმში ბაროვსკის და „პოპულერ“-ის რედაქციას თხოვნით შატყობინოს და პასუხი გასცეს (დამახინჯებულია) შეკითხვებზე. სახალხო კომისარი აღნიშნავს, რომ ასეთი მოწვევა მთავრობას არ მიუღია. სპეციალური კომისიის მიზნები პარიზის რადიო დეპეშებში არ არის გამორკვეული. იქ, სადაც განმტკიცებულია საბჭოთ მთავრობა, დამარცხდა კონტრ რევოლიუცია და ყველგან სიწყნარეა. იქ, სადაც უცხოელების ხიშტების წყალობით მეფობს რეაქციონური წრეები, სამოქალაქო ომი გრძელდ ბა. ერთად ერთი საშუალება ბოლო მოეღოს ამ მდგომარეობას ის არის, რომ კონტრ რევოლიციონერებს მოესპოს დახმარება გარედან. ამ შემთხვევაში შეამავლობა შეუძლებელია, რადგან წინადადებას იძლევა ის მთავრობები, რომელებიც ფაქტიურათ მონაწილეობენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელთა ჯარს უჭირავს ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. ბრძოლის შეჩერების წინადადება არ წამოუყენებიათ იმ დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკას არ ყავდა საკმაო ძალა. წინადადება წამოაყენეს იმ დროს, როცა კონტრ რევოლიუცია სულს დაფავს. რადგან ბოროვსკის საშუალება ჰქონდა შეესწავლა ჩვენთვის მიუწვდომელი საინფორმაციო მასალა, ნარკომმა განსაკუთრებით სთხოვა ეუწყებინა, მართლა სურთ თუ არა არხანგელის, ციმბირის, ბაქოს, ასხაბადის და დონის როსტოვის ანექსია. მიაღწია თუ არა ამ რადიომ დანიშნულებისამებრ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ პარიზში მყოფი მაკლაკოვი, თავის ინტერვიუში ამერიკელ ჟურნალისტთან ამბობს: „ჩენერინმა საზავო კონფერენციაზე მოწვევის საპასუხოთ მოითხოვა გარანტია და დაწვრილებითი განმარტება. რადგან ნარკომის საგარეო საქმეთა ხელმოწერით სხვა საბუთი არ გაგზავნილა, ცხადია, რომ სწორეთ ამ რადიომ მიაღწია მაკლაკოვამდე, რომელიც პარიზში იმყოფება და მაშასადამე, საფრანგეთის მთავრობამდე. ამის გამო საბჭოთა საგარეო სამინისტრომ 31 იანვარს პეშონის სახელზე გაგზავნა რადიო, სადაც აღნიშნავდა, რომ გარანტიების მოთხოვა მიმართული იყო საფრანგეთის მთავრობისადმი და არა გაზეთისადმი. ამ საკითხზე არავით რი საბუთი არ მიუღია და საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო წამოეყენებია მოთხოვნილებანი და არ შეეძლო გაეცა პასუხი რუსეთის მთავრობის მოწვევაზე, რად ან ასეთი წინადადება მას არ მიუღია. **სამარა.** ციმბირიდან დაბრუნებული იუწყება, რომ ბრძოლა სემონოვსა და კოლჩაკის შუა გრძელდება. ცნობაა, რომ ირკუტსკი სემიონოვმა დაიპყრა. იაპონიამ თავისი ჯარი ციმბირიდან გაიწვია, არ სემიონოვს და არც კოლჩაკს არ დახმარებია. სიძვირე იზრდება. მუშები ყველგან საბჭოთა მთავრობის მხარეზეა.

ხელშეკრულების ცნობები.

მე-9 კორპუსის ჯარისკაცთა დეპუტატების მოკრძალებაზე, რომ მოახდენენ მე 9 კორპუსის მობილიზაციას მთავრობის ჯარის საწინააღმდეგოთ, მთავრობა აღნიშნავს, რომ მე 9 კორპუსი, როგორც სხვა ნაწილები, უკვე დათხოვნილია და შეუძლებელია მათი ხელახლა მოწვევა.

როგორც უკვე იყო ცნობა, ინგლისის სარდლობამ კელნში აუკრძალა ადგილობრივ გაზეთებს საგანგებით მოათავსონ გერმანიის სტატს-სეკრეტარის გრაფ ბეკენდორფ-რანტცაუს განცხადება, რომელიც ინგლისის ცენზურის აზრით უნდა შემოკლდეს. გერმანიის მთავრობამ ამის გამო მოკავშირეთ გაუგზავნა ნოტა. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ დაჭერილ ადგილებში მომავალში ასეთი უსამართლობა ადარ მოხდება. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა გრაფ ბროკენდორფ-რანტცაუ ამერიკის პრესის წარმომადგენელთან შემდეგი შეხედულობა გამოსთქვა:

ინგლისის მთავრობის ცდა, რომ „ლუარჯი წიგნის“ საშუალებით გერმანელების ახალშენებში მმართველობა აუტანელათ დახატოს, უნდა გაბათილოს ინგლისის უგანვითარებულეს პირებმა, რომელნიც გამოაცხადებენ ინგლისის ცოდვებს ახალშენების მართვა-გამგეობის საქმეში. ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ მრავალი უცხოელი მოგზაური, რომლებიც მსოფლიო ომის დაწყებამდე აქებდენ გერმანიის მმართველობას ახალშენებში და სამაგალითოდ სთვლიდენ მას.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა:

თფილისის საპატიმროები დაექვემდებაროს თფილისის გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც მიენიჭება ყოველგვარი უფლება საპატიმროების დასაცავად და წესრიგის დასამყარებლად; გენერალ-გუბერნატორს უფლება ეძლევა აგრეთვე ყველა მოსამსახურეთი, გარდა ინსპექტორებისა, მილიციისა და დაცვისა.

———

ნება მიეცეს **მიწად-მოქმედების** მინისტრის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე მისცეს თფილისის ბოტანიკური ბაღის მუშებსა და მებაღეებს ჯამაგირად: **მუშებს**—325 მ. თვეში, უფროს მუშას—400 მან., მებაღეს თანაშემწეს 450 მან., მებაღეს—500 მან. და უფროს მებაღეს—550 მანეთი.

———

მიეცეს **ფოსტის** და რკინის გზის ყველა მოსამსახურეებს მომატებული ჯამაგირები პირველი იანვრიდან.

———

მომავალ სახელმწიფო ბანკის დაარსების. და მისი წესდების პროექტი მიღებულ იქნას და წარედგინოს პარლამენტს განსახილველათ.

ახალი ამბები

კავკავი ამ დღეებში ინგუშებს დაუკავებიათ.

◆ **თფილისში ჩამოვიდა** მთიელთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ჯაბადელი.

◆ **ხომხეთის პარლამენტის** თავმჯდომარემ ა. ხაკიანმა ინახულა საფრანგეთის მისიის მეთაური პოლკ. შარდინი და ამერიკის მისიის თავმჯდომარე და დიდხანს ესაუბრა მათ სომხითის მდგომარეობაზე.

◆ **გაძარცვა.** 3 თებერვალს ღამით რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტ გამზრახველებმა გაძარცვეს კაპ. გუგუშვილი და მ. საფაროვი. პირველს წაართვეს 20.000 მანეთი სახაზინო ფული და მაუზერის რევოლვერი. მეორეს კი 674 მანეთი და ოქროს საათი—1,500 მანეთად ღირებული.

◆ **საქართველოს ს. დ. ზ. ბ. საარჩევნო** ფონდს შემოსწირა **გვარჯალაძე** სვიმონ **დავითის ძემ** 400 მანეთი, 200 მანეთი, არტემ **თევზარაშვილის ძემ**, კოტალიამ 100 მან., **მეჩიტოვმა** 80 მანეთი.

◆ **ბაქოს ესვრებმა** და **ესდგკებმა**, როგორც ცნობები მოვიდა, განაცხადეს სურვილი ადერბეიჯანის პარლამენტში შესვლისა და იქ მუშაობისა.

◆ **მიწათ მოქმედების** მინისტრი სწერს ოზურგეთის სამაზრო საბჭოს მიმდინარე გამგეობას. „ერთობის“ № 17 ში მოთავსებულია წერილი „ძველი დარაჯის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოფ. ჯურყვეცში მემამულე ნ. გიგინეიშვილს მიეყიდია ერთი ნაკერი მიწა ადგილობრივ მცხოვრებისათვის ა. ლ—ძეს და ამით შეუმცირებია სახელმწიფო მიწის ფონდი. წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ დაწვრილებით გამოიძიოთ ეს საქმე და მთელი გამოძიება გამოგზავნოთ სამინისტროში იურიდიულ განყოფილებაში. ამის გარდა შეგვატყობინეთ: იცოდა თუ არა საადგილ-მამულო გამგეობამ ზემო მოყვანილ ფაქტზე. და თუ იცოდა, რა ზომები მიიღო თავის მხრივ ამის შესახებ“.

◆ **მორიგი კრება** ქართველ ექიმთა და **ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა** მოხდება შაბათს, 8 თებერვალს, საღამოს 7 ნახ. საათზე მიხეილის საავადმყოფოში. წესრიგი კრებისა: 1. მოხსენება ექ. ალ. **წულუკიძისა**—„შემთხვევა ბერხეულის ტყვიისმფრქვეველით გამოწვეულ ჭრილობისა“ ავადმყოფის დემონსტრაციით, 2. მოხსენება ექ. დ. **ახვლედიანისა**—„პროფ. მეჩნიკოვის შრომანი მედიცინაში და მიკრობიოლოგიაში“. 3. მორიგი საკითხები. 4. ახალ წევრთა ამორჩევა.

◆ **თფილისის** საქონლის **საადგურის** სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციის **წევრების** კრება საადგურის კოლექტივის თავმჯდომარის გადაწყვეტილების თანახმად დანიშნულია ყოველ შაბათობით 6 საათზ. ამიტომ ხთხოვენ წევრებს აუცილებლათ გამოცხადდენ დანიშნულ დროზე. ვინც არ გამოცხადდება, სამჯერ დაუსწრებლობის შემდეგ პარტიიდან იქნება გარიცხული.

◆ **მთავარი სახელოსნოს** რკინის გზის საადურგლო განყოფილების მუშებმა ერთი თვით ორი ნომერი „ერთობა“ გაუწერეს ფრონტზე დაჭრილ მხედრებს.

◆ **ქალაქის შრომის ბირჟა** ამით აცნობებს ყველა ქართველ მასწავლებლებს, რომელთაც სური დაიკავონ ადგილი საერობო პირველ დასაწყის სასწავლებლებში, მიმართონ შრომის ბირჟას შუადღის 9—3 საათამდე. მადათოვის ქუჩა № 11, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, რუსთა ეროვნულ სამეჯოს შენობაში.

ქალაქის მილიციის უფროსის გრძანება

ინგლისის ჯარის ყურის საგდებლად ქალაქში არსებობს ინგლისის სამხედრო პოლიცია, რომლის უფროსად დანიშნულია ინგლისის სამსახურში მყოფი კაპიტანი ნობლი. პოლიციური პუნქტები, პოლიციის შიერ დასახელებული, განაწილებულია შემდეგ რაიონებში: № 1—ბატარეის ქუჩაზე, არტილერიის მოედანზე მეათე კომისარიატის რაიონში; № 2—ბელგიის ქუჩის მოსახვევში და მიხაილოვის ქუჩაზე მეექვსე კომისარიატის რაიონში; № 3—სასტუმრო „მაქესტიკი“ მეორე კომისარიატის რაიონში № 4—კ ხეთის მოედანზე ქართული ყაზარმების პირდაპირ; მეშვიდე კომისარიატის რაიონში თვითოეულ პუნქტებში არის თარჯიმანები, ტელეფონი ჯერ არ არის. ამ დღეებში, ინგლისელ ჯარის კაცთა მოკვლევების თვალყურის დევნისათვის, ქალაქში იყვიან ინგლისის პოლიციის წევრები, რომელთა განსასხვავებელ ფორმათ იქნება შავი შესახვევი ხელზე წითელი ასოებით. გაცნობებთ რა ამას, თფილისის ქალაქის მილიციის უფროსი წინადადებას აძლევს მილიციის წევრებს შეასრულონ შემდეგი მათი ჩვენებანი:

1) მილიციის წევრების დამოკიდებულება ჯარისკაცებთან. როგორც ყველა სხვა მოქალაქეებისადმი, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უნდა იყოს აუცილებლად ზრდილობიანი.

2) თუ დასახელებული ჯარისკაცები დაარღვევენ წესრიგს, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ზევით დასახელებულ ერთ-ერთ მახლობელ საპოლიციო პუნქტებში ან შეატყობინონ ამაზე ქალაქის პატრულებს—ინგლისის სამხედრო პოლიციის წევრებს. წესიერების დამრღვევი ჯარისკაცები ინგლისის სამხედრო პოლიციის მოსელის შემდეგ გადაცემულ უნდა იქნეს მათ განკარგულებაში.

3) შეატყობინონ ყოველ ადგილებს, სადაც მაგარ სასმელებს ყიდიან, საღამოს დაკეტვისა და პატრონთა დატუსაღების მუქარით არ მიყიდონ სასმელები ინგლისის ჯარისკაცებს.

4) მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ ინგლისის ჯარისკაცებს, სარდლობის ნებართვით, შეუძლიათ დაეწერონ შემდეგ დაწესებულებებში. სასტუმრო „ლონდონი“, ქალაქის იაფ ფასიანი სასადილო, კაფე „რენესანსი“, კაფე კირილინის ქუჩაზე, საოფიცერო საზოგადოებაში და კაფე მიხეილის პროსპექტზე № 5.

საქართველო-სომხეთის ომში ჯავშნოსნების როლი

(დასასრული)

12 დეკემბრიდან ალაგერდში იდგნენ ჯავშნოსნები № 3 და № 2, რომელზედაც ვიმყოფებოდი მეც. ამ ჯავშნოსნების მიზანი იყო გასაჭირში მყოფი მოძმე ჯავშნოსანი პირველი ეხსნა, მიიწვევდა წინ, გაკეთებული იმ რწმენით, რომ დაეხსნა თავის მეგობარი და მიშველებოდა ომს განსაცდელისას, დავიძარით ახტალისკენ, გზაზე მტერმა ტყვიები წკიმასავით დაგვიყარა. ჩვენ უპასუხებდით ყუმბარებით, რის შემდეგ მტერი გავფანტეთ, ჯავშნოსნებმა გაიცილა ეშელონები ახტალამდე.

მტრის იერიშები საგრძნობ ხასიათს ღებულობდა, ბრძანება გაცემული მქონდა, რომ, როგორც მტერი ტყვიებს დაგვიშენდა, ჩვენ ზარბაზნის ყუმბარებით გვეპასუხნა. ორივე ჯავშნოსანი თავ-გამოდებით იბრძოდა, მაგრამ მტერს ხელს უწყობდა ბუნებრივი სიმაგრეები, სადაც ჯავშნოსნების თავისუფალი მოქმედება შეზღუდულია, წავიწიეთ წინ გვინდოდა მიგვეველებოდით ჯავშნ. № 1-ს, მაგრამ გზა აყრილი აღმოჩნდა. ვსცადეთ უკან დაბრუნება, გზის გასაშინჯავათ სადასლოსკენ გამოგზავნეთ ორთქლმავალი, მაგრამ ახტალის სიმაღლიდან გზა 30 ფერსის მანძილზე სად. აირუმამდის ხიდები დამწვარი და ლიანდაგი განადგურებული აღმოჩნდა. ცხადი იყო, მტერი პარტიზანულად აწარმოებდა შეტევას, ირგვლივ გარს მტერი გვეხვია, ჩვენს ზურგს უკან გამაგრებულიყვნენ. ორთქმავალი ლიანდაგს გადასცდა, შეუძლებელი შეიქნა ჯავშნოსნებით გამოსულიყავით, 16 საღამოს სამხედრო თათბირმა გადასწყვიტა ბრძოლით გაგვეგრძელა მტრის რკალი, და ისე გამოსულიყავით. დავირაზმენით გავიშალეთ და თავ-

განწირულ ბრძოლას შემდეგ 18-ს დილით გამოვედით სადახლოში, დავტოვეთ ჯავშნოსანი № 2 და მესამე კი დაზიანებული, რომლებსაც გულის ტკივილით გამოვეთხოვეთ, ბევრი ჩვენი მოკეთეები ამ ომიდან ჩვენს დამარცხებით თვლიდნენ და სთვლიან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯავშნოსნებისა და მცირედი ჯარის ნაწილმა შესძლო 7 დან 18 დეკემბრამდის გამკლავებოდა დიდხნიდან მომზადებულ მტერს. რითაც ჩვენს მთავრობას საშვალება მიეცა ჯარის მობილიზაცია ეწარმოებინა და ბრძოლის ველზე ჯარი მტრის წინააღმდეგ დაერაზმა, უკანასკნელ შესაძლებლობამდის იბრძოდა ჯავშნოსნები. და ჯავშნოსნები № 2 და № 3 ხომ მხოლოდ მაშინ დავტოვეთ, როცა სასროლი მასალა უკანასკნელ ტყვიაზე მიდგა, და უკანდან კი არც იმედი გვქონდა მიღების, რადგან 30 ვერსის მანძილზე გზა აყრილი და ხიდები დამწვარი იყო, ჩვენ ვიხსენით რამდენიმე ასეული გვარდიელი და ჯარისკაცები. დავრაზმეთ და მტერს ისე შევუტიეთ. ბრძოლის დროს ხელში ჩაგვივარდა ის ლტოლვილები, რომლებიც ოსმალთა შემოსევის დროს განადგურებისაგან ვიხსენით, საფრთხეს ავაშორეთ და თფილისში ჩამოვიყვანეთ. ხელთ ჩამივარდა ის ხალხი, რომლებიც მაშინ თავის მხსნელად მთვლიდნენ, შეხვედრის დროს ასე მეუბნებოდნენ: ჩვენ ისა ვართ, ყელის გამოჭრას რომ დადაგვარჩინეთო. ნეტა ვიცოდე, ეს ჩემი ნაცნობები რას ამბობდნენ მაშინ, როცა ხმა გავრცელდა სომხეთში, ჯავსნოსნების უფროსი გოგუაძე თავის კამანდით ნაფლეთ ნაფლეთად აქციესო. რას ამბობდნენ მაშინ, როცა მთავარ სარდალი სომხეთის ჯარისა ჰკრო ფიცულობდა: გოგუაძეს ცალი ფეხი არ ჰქონდა და არ შეეძლო გასულიყოო? ალბათ, გული არ დასწყდებოდათ, რადგან ლაშნაკელთა პარტიამ საამისოთ გაანვითარა და მაშინდელი ჩემი სიკეთე ჩემგან დახსნილებს თავისებურად აუხსნა: ჯავშნოსანის № 4 ხელმძღვანელს, როცა გაეგო, რომ სამი ჯავშნოსანი მოწყვეტილია მტრისაგან და დიდ საფრთხეში იმყოფებიანო, ჯავშნოსანით გამომგზავრებულიყო სადახლოსკენ, რომ დაგვხმარებოდა, სადახლოში მას უხსნიან საქმის მდგომარეობას, და კერძოთ მტრის რკალში მომწყვდეულ ჯავშნოსნების ბედს. ამავე დღეს ჯავშნოსანი № 4 სადახლოდან დაიძრა აირუმისაკენ მტრის შესახვედრათ. სადგურ აირუმთან მას გზა ქვებით ამოვსებული დახვდა, რამაც შეაჩერა მათი მსვლელობა, ამით იხელთა მოხერხებულ ადგილზე ჩასაფრებულმა მტერმა და ჯავშნოსანს ვოველის მხრიდან სროლა აუტეხა. მაგრამ ჯავშნიანმა ისინი ტყვიისმფრქვეველის საშუალებათ გაჰფანტა. გზა ადადგინეს და შეგიდნენ აირუმში. აქ გამოირკვა სხვათა შორის, რომ სამხედრო მასალით დატვირთული ვაგონი აირუმს იქით ლიანდაგს გასცდა და წინსვლა არ შეიძლებაო. ჯავშნიანი ბრუნდება ისევ სადახლოში, აქ მიდის გენ. წულუკიძე რომელიც ჯავშნიანის უფროსს აცნობს დაწვრილებით გზა გადაჭრილ ჯავშნოსნების ბედ-იდბალს. 16 ს დილით ჯავშნოსანი ისევ გაემგზავრა აირუმისაკენ, მე 9 რეგვერსზე იწყოდა ხიდები, პირველი გადაარჩინეს, მეორე კი უკვე გაენადგურებინა ცეცხლს, აქ მტერმა სროლა აუტეხა ჯავშნოსანს, ჯავსნოსანიც თავის მხრივ ლირსეულად უპასუხებდა მომხდურთ, წინსვლა უგზოობის გამო, კვლავ შეუძლებელი შეიქმნა, და ჯავსნოსანი 11 საათზე ისევ დაბრუნდა სადახლოში, ჯავშნოსანის უფროსმა სთხოვა გენ. წულუკიძეს ზურგის დაცვა, რომელმაც ამ მიზნისთვის 1 როტა მე 6 პოლკისა მაჭავარიანის მეთაურობით გამოწესა. 2 საათზე ჯავშნოსანთან ერთად მიდის 1 როტაც, რომლებმაც დაიკავეს ერთი მნიშვნელოვანი ალაგი.

საღამოს სამ საათზე მოპირდაპირე ეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ ამაოდ. ღამის 11 საათზე ისევ ჩამოვიდა სადგ. სადახლოში. აქ 12 საათზე ცნობა მოდის, რომ გადაჩეხული ჯავშნოსნების რაზმი დაიძრა გამოსასვლელადო, ჩვენდა დასახმარებლათ. 17-ს 1 საათზე, ამოვიდნენ დამწვარ ხიდთან, რომელსაც ახლდნენ როტის ნაწილიც, დაიკავეს მნიშვნელოვანი ალაგები და ხიდი განუწყვეტლივ სროლის ქვეშ ალადგინეს. გამოვიდნენ ხიდზე და სადგ. აირუმთან შემოგვიერთდნენ. ამხანაგები გვამცნეს, მოვთავსდით ჯავშნიან № 4 ზე და დილის 5 საათზე ჩავედით სადახლოში. კამანდას გავაცანი საქმის ყოველივე მდგომარეობა, აუხსენი თუ რამ გვაიძულა დაგვეტოვებინა ჯავშნოსნები და ხელჩართულ ბრძოლით გამოვ ულიყავით, შემდეგ შეერთებულის ძალით ჯავშნიანი № 4-ით ლავიძარით წინა ხაზისკენ. საღ. 4 საათზე მწერვალზე დროშით გამოჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებმაც წვიმასავით დაგვაყარეს ტყვიები. ჩვენ ზარბაზნის ყუმბარებით უპასუხეთ, რასაც მოჰყვა მათი დამარცხება. 18 დეკემბერს სადახლოს თავს ესხმის მტრის საგრძნობი ძალა, ჯავშნოსანი მოხერხებულ ადგილიდან მოქმედებით სრულიად ანადგურებს თავდამსხმელთ. 21 დეკემბერს აშაგასეგრაფის რაიონში დილიდან მოწინააღმდეგემ გაიფართოვა სამხედრო მოქმედება და 6 ვერსის სიგანეზე შემოგვიტია, რამაც ჩვენი ქვეითა ჯარის მცირე ნაწილი იძულებული გახდა უკან დაეხია, მთელი დღე გვიტევდა მტერი, მაგრამ ჯავშნოსანს წყალობით მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. საღამოს 5 საათზე ჯავშნოსანს შეუერთდა კ ნი უ ტიაშვილი, რომელმაც თავი ისახელა ამ ღლის გმირულ ბრძოლაში. ამ დღეს ჯავშნოსანმა დაჰკარგა ერთი წევრი, ნ. ინწკარველი, მაგრამ მტერი კი დიდი ზარალით ბოლოს იძულებული გავხადეთ უკან დაეხიათ. 22 ს მტერმა სცადა ჯავშნიანისთვის გზის გადაჭრა, მაგრამ ჯავშნოსანით ეხლა აშაგა სერალში გავჩერდით— 23 ს მოდის გენ. მაზნიაშვილი და ფრონტიც ღებულობს, სულ ! ხვა სიცოცხლეს, ჩვენი ჯავშნიანი დგება ხაზში და ჯართან ერთად უტევს მოპირდაპირეს, ჩვენი ჯარი გადადის საერთო შეტევაზე და მოწინააღმდეგეც მარცხდება ყველა ალაგზე. 30 დეკ. მტერი სწვავს წინა ხიდებს. მაგრამ ჩვენ ალადგინეთ ესენი და მივედით სადახლოს უმთავრეს ხიდამდის, ჩვენი ჯარი მედგრათ წინ მიიწევდა, თქმა არ უნდა საბოლოო გამარჯვება ჩვენი უნდა ყოფილიყო. მაგრამ 31-ს ღამით მიიღო შტაბმა განკარგულება, 12 საათიდან სამხედრო მოქმედება შეწყვიტა, რაიც სისრულეში იქნა მოყვანილი. ჩვენ ყველა ჯავშნოსნებიდან ამ ბრძოლაში დავკარგეთ 8 კაცი, მაგრამ ყველასათვის ცხადია ამ ბრძოლის ალპრეზზე გამარჯვებული საქართველო გამოვიდა, ჯავშნოსნებმა თავის მებრძოლ კამანდით ამ ბრძოლაში შეიტანეს თავიანთი წვლილი და ღრმათ დარწმუნებული ვარ კვლავ მომავალში, თუ ეს საჭირო იქნება, დემოკრატი ს საკეთილდღეოთ თავს არ დაიზოგვენ და მოიხდურთ თავისებურ ერთსულოვნებით და თავ განწირულობით შეებრძოლებიან.

ჯავშნოსნების უფროსი და საქ რკ. გზის კომენდანტი ვ. გოგვაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 27 იანვარს შესდგა სხდომა ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა, რომელსაც პროვინციიდან ჩამოსული წევრებიც დაესწრენ. არჩეულ იქნა ბიურო, რომელშიაც შედიან: კ. ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ცაბაძე, რ. ჩიხლაძე (მდივანი).

კომისია გაეცნო ც. კ-ტის მოღვაწეობას დღიდან მისი არჩევისა, მოისმინა კ-ტის თავმჯდომარის ამხანაგის და მდივნის მოხსენებანი, გადაათვალიერა ოქმები და მიიღო ზოგიერთი დადგენილებები.

ს. კომისია ავალებს პროვინციელ წევრებს თვალყური ადევნონ პარტიულ ორგანიზაციების მოღვაღეწეობას თავის რაიონში და რეგულიარულათ უგზავნონ მოხსენებები მის ბიურის მისამართით.

თფილისი. 29 იანვარს სახელმწიფო სასწავლებლის შენობაში შესდგა მეოთხე რაიონულ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შეერთებული კრება. კრებზე მოხსენება გააკეთა ჩვენ საარჩევნო პლატფორმაზე ამხ. ი. ირემაშვილმა. მან ნათელჰყო ძველი თვითმართველობის მუშაობა და პიროპები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა და მოუწოდა ამხ. მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. კრება აღტაცებით ეგებება მოხსენებელს. ადგენს, რომ შაბათს, პარტიის მობილიზაციის დღეს, ყველა პარტიის წევრი, გამოცხადდეს ამავე შენობაში, მუშაობის გასანაწილებლად. არჩევნების ტექნიკური მხარეების განმარტების შემდეგ კრება იხურება. შემდეგ იმართება საარჩევნო კომისიის სხდომა სხვადასხვა კითხვების გასარკვევათ.

1 თებერვალს სახელმწიფო სასწავლებლის შენობაში შესდგა მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებას ხსნის ნაჩვენებ უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ტერელაძე. პირველად კრება ისმენს მოხსენებებს „ოკოლოტკებიდან“ არჩევნების შესახებ. მოხსენებების შემდეგ კრება მსჯელობს მოხსენებებში აღნიშნულ დეფექტებზე და ღებულობს საჭირო ზომებს დეფექტების თავიდან ასაცილებლად. დაბოლოს ხდება არჩევნები ექვს პარტიის წარმომადგენელის საარჩევნო ყუთებთან.

ნა.

მუშათა შორის

თფილისი. 25 იანვარს მოხდა სადგ. თფილისის მეისრე-მატარებლების შემადგენლებთა სექციის სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოძრაობის დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობა; 2) რვა საათის სამუშაო დღე; 3) ჯამაგირების მომატება; 4) ტანსაცმელი. პირველი საკითხის გარჩევამ ნათლათ გამოაჩუკარავა, რომ მოძრაობის დაბალი მოსამსახურეები დაუკმაყოფილებელი ყოფილან ეკონომიურათ. სექციამ დაადგინა: შემუშავებულ იქნას გეგმა მოთხოვნილებებისა და წარედგინოს რაიონულ გამგეობას. მეორე საკითხის შესახებ კამათიდან გამოირკვა, რომ ყველა დაწესებულებებში ყოფილა გატარებული რვა საათის სამუშაო დღე გარდა ჩვენისა, რკინის გზის დაბალი მოსამსახურეები ყოველთვის უშვებდნენ ანგარიშს რკინის გზის კრიტიკულ მდგომარეობას. მათი ლოზუნგი იყო ჯერ რევოლიუციის გამარჯვება და მერე ეკონომიური პირობების გაუმჯობესება. პირველი ნაწილი ამ ლოზუნგისა მუშათა კლასის საბედნიეროთ აღსრულდა, რევოლიუცია გამარჯვებით დამთავრდა და ეხლა კი დროა ამ დარჩენილი საკითხების განხორციელებასაც შეუდგნენ. კრებამ დაადგინა შემდეგი მოთხოვნილება წარედგინოს რაიონულ გამგეობას: 1) რვა საათის სამუშაო დღის განხორციელება მოხდეს შემდეგი წესრიგით: კვირა უქმე დღეებში ექვს ექვსი საათის სამუშაო დღე, თანახმათ 1917 წლის 29 დეკემბრის დეკრეტისა. ღამე მუშაობის დროს მოსამსახურეებს ორკეცი ფასი უნდა ეძლეოდეს. თუ რომ ამ მოთხოვნილების განხორციელებას გამოუჩნდება ტექნიკურის მხრით რამე დამაბრკოლებელი მიზეზები, იმ შემთხვევაში დაინიშნოს მეოთხე „სმენა“; 2) ჯამაგირების მომატების შესახებ იქნა გამოტანილი შემდეგი დადგენილება: რადგანაც ჩვენ ჯამაგირების მოთხოვნის დროს გვითითებენ სასურსათო დაწესებულებებზე და გვეუბნებიან, რომ თქვენ ყოველივე სანოვაგეს იაფ ფასებში ღებულობთ და ჯამაგირის მომატება რაღა საჭიროაო. ვღებთ რა მხედველობაში რკინის გზის სასურსათო დაწესებულებებში მსხვილ ბორტმოქმედებებს ხშირათ აქვს ადგილი, რომლის ანახლაურება ჩვენს ლტოლ ჯიბეებს უნდა დაეკისროს, ამისათვის მოვითხოვთ გაუქმებულ იქნეს რკინის გზის სასურსათო დაწესებულებები და მოსამსახურეებს კი ჯამაგირები დაენიშნოს დღევანდელი სიძვირის მიხედვით; 3) ტანსაცმელის შესახებ დადგენილ იქნას შემდეგი: აუცილებლათ საჭიროა რომ რკინის გზამ აძლიოს მოსამსახურეებს, როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო ტანსაცმელი. მატარებლების შემადგენელს და ვაგონების გადამბმელებს მიეცეს წელიწადში ორ ორი წყვილი ჩექმები.

თავმჯდომარე **აბესაძე**, მდივანი **მეფარიანი.**

თფილისი. საზოგადოება „კახეთის“ მუშამოსამსახურეთა შეერთებულმა კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა ხმა მისცენ ს. ს.-დ. მუშ. პარტიის № 1, რომელიც ერთად ერთი დამცველია მშრომელი ხალხის და მათი ინტერესების. ამასთანავე მოუწოდებს, როგორც ამავე დარგის ყველა მუშა მოსამსახურეებს, ისე სხვა მშრომელ ხალხს ხმა მისცენ ქვეყნის მხსნელ და მუშათა ინტერესების დამცველ პარტიას № 1.

მონდობილობით: **არ ენ თოდრია, გრიშა შარაშიძე** და **იასონ ყაჯარიშვილი.**

გვარდიელთა შორის

29 იანვარს მოხდა თფილისის საქონლის სადგურის სხვადასხვა ფრონტებიდან დაბრუნებულ გვარდიელების საერთო კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) დღევანდელი მომენტი, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) გვარდიის მოვალეობა, 4) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 5) იარაღებს მეთვალყურე კომისიის არჩევა. თავმჯდომარის წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს ფრონტებზე გმირულად დაღუპულ მირონისე დავითაძეს ჩაგოგიძის, პაპა ჩიკვაიძის და სხვა ამხანაგების ხსოვნას.

ამხ. დ. ჟღენტი თავის მოხსენებაში ეხება მოღალატე პირების მოქმედებას, რომელთაც სურთ ჩვენი ნორჩ რესპუბლიკას და რევოლიუციონური ს. დ. ორგანიზაციებს სახელი გაუტეხონ. რესპუბლიკის აშკარა ღა მალულ მტრებს სურთ ჩვენ წინააღმდეგ აამბეგდრონ მასსა, მაგრამ უნდა იცოდნენ მათ, რომ რესპუბლიკის დამცველი გვარდია, რეაქციონერების მისწრაფებას ორგანიზაციულად შეებრძოლება. კრება სთვლის საქართველოს მთავრობის მოქმედებას მიზან შეწონილათ. სალაპს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, უსურვებს მას ხანგრძლივ და ენერგიულ მუშაობას. გვარდიის კრება ვალად ღებულობს თავის თავზე დაეხმაროს რესპუბლიკის მთავრობას მთელი თავის ენერგიით ამ მძიმე ტვირთის ზიდვაში. მასთან გვარდიის კრება საჭიროდ სცნობს ადგილობრივათ ორგანიზაციების გამაგრებას, რაც ხელს შეუწყობს მთავრობის და რესპუბლიკის გამაგრებას, რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული. დასასრულ მოხდა იარაღის მეთვალყურე კომისიის არჩევა. ხმის უმრავლესობით აირჩიეს 1) დიმიტრი ელენტი, 2) სამუელ ციცხალაშვილი, 3) სოფრომ ორმოცაძე. პირველ რაიონში წარმომადგენლათ კი არჩეულ იქნა დიმიტრი ელენტი.

ქრისტინეშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ
გ. გ ᲛᲔᲒᲠᲐᲖᲘᲐᲜᲪᲘ
შინაგანი ავადმყოფობა, ჭიქისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტროწამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ლარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ᲔᲥᲘᲛᲘ
ნ. გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორღანოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

ᲛᲐᲘᲡᲮᲜᲐ ᲗᲛᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲓᲐᲛᲧᲝᲤᲝᲜᲘ
(მუდმივი საწოლებით)
ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘᲡᲐ
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თეორ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ვ. ნ. ᲩᲣᲥᲠᲘᲜᲘᲜᲘ
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ᲛᲫᲘᲛᲘ
დ. ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ᲛᲫᲘᲛᲔ Გ. Ა. ᲨᲐᲤᲠᲐᲜᲘ.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ
Ე. ს. ᲙᲐᲠᲣᲪᲔᲡ — ᲒᲔᲒᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მასაჩართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ
ᲕᲐᲜᲘ
იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ᲛᲫᲘᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ
რ. გ. ᲨᲘᲣᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ეკატერინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეგიუმისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის ბრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ Ქ. Გ. ᲯᲐᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ
მიიღებს შინაგანის, ყურის, ცხვირის ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6½. ნიკოლოზის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 13—65.

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ
ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი ნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის ბრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყველის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ᲛᲫᲘᲛᲘ
ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მასამართი: მიხეილის ბრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲘᲛᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ
ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲠᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲫᲘ ᲪᲮᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

Ა. ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოვის ქუჩა, სახ. № 4 (ფორონკოვის ხიდის ახლოს).

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ი. გ. ᲙᲝᲜᲘᲔᲕᲘ
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ
იღებს სპეციალურად—**მალარიით** (ცივება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სახსლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით** და სხვა **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ბიბლიოთეკის ახლოს.

პ. ი. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ოთხშაბათს, 5 თებერვალს, ᲔᲚ. ᲩᲘᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მონაწილეობით სახ. სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

I **ᲚᲐᲥᲘᲐ**

ტრაგიკომედია 3 მოქმედებათ. კ. ხახანაშვილისა.

II **ᲓᲔᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ**

ვოდევილი ერთ მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ან. არჯევანიძე, თ. გოგოლაშვილი, ნ. ნინოი, ე. იანქოშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჩერქეზიშვილისა. ბ. ბ. ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ი. მანდიაშვილი, ა. მეტრეველი, ნ. ჭანკვეტაძე.

რეჟისორი ივ. ბარვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
შემდეგი წარმოდგენა 9 თებერვალს. (2—2)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲝᲠᲔᲠᲐ—ᲔᲕᲚᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ

შულგინას, აგასოვას, სპიტკოს, სტრაჯიშვილის, პოლიაევის და ინაშვილის ხელმძღვანელობით

პირველად ქართული ოპერა

„ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲪᲘᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ“

მუსიკა დ. ი. არაყიშვილისა. ბალეტი ოპერიდან „შეფე იგორი“. (2—2)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ბანის სრულ უფლებიან **ᲫᲐᲚᲗᲣᲚ ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲛᲔᲡ** ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხელნებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაშოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.

მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მათ ისურვებენ ზემოაღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—7)